სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 14

2018 წ. "15" 10

ქ.თბილისი

შპს ევროპის უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2018 წლის 02 ოქტომბერს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს ევროპის უნივერსიტეტის №7482 სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №1262513) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 აგვისტოს №50 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის სტუდენტთა მიღების უფლების 3 წლის ვადით შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია, რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 26^3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის მოთხოვნებს და ამავე დებულების 26^3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას შპს ევროპის უნივერსიტეტის №1262513 სააპელაციო საჩივარი.
2. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

თავმჯდომარე
ნინო ოკრიბელაშვილი